PDF Eraser Free

სსიპ - კოლეჯ „ფაზისის“ მიერ „აგრომექანიზაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების თაობაზე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის
დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: სახელი, გვარი თამარ ნასყიდაშვილი

წევრები:

სახელი, გვარი ნიკოლოზ კიკნაველიძე

(ქ.თბილისი 2021 წელი)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ კოლეჯი „ფაზისი“

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი-სსიპ

საიდენტიფიკაციო კოდი: [redacted]

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

☒ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 05/04/2021 №325563 ბრძანების საფუძველზე 2021 წლის 20 აპრილს, ქალაქ ფოთში, სსიპ კოლეჯ „ფაზისში,“დისტანციურ რეჟიმში განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფის (თავმჯდომარე თამარ ნასყიდაშვილი, წევრი - ნიკოლოზ კიკნაველიძე) ვიზიტი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის (პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის) საფუძველზე შექმნილი საგანმანათლებლო პროგრამის „აგრომექანიზაცია“ დამატების თაობაზე.

ბრძანების საფუძველზე ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფმა „აგრომექანიზაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის, მე-2 პუნქტი ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით, სამუშაო ფორმატის ფარგლებში ვიზიტი განახორციელა დისტანციურად ონლაინ რეჟიმში,კომუნიკაციის ელექტრონული ტექნოლოგიების მეშვეობით. დაწესებულებამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აგრომექანიზაცია“ დამატებასთან დაკავშირებით განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტში წარმოადგინა განაცხადი თანდართული დოკუმენტაციით: ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა,მოდულები, მოდულური და ინტეგრირებული სწავლების სასწავლო გეგმები, მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ფლობის დოკუმენტები,პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმის ამსახველი დოკუმენტაცია, პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები და სხვა, ავტორიზაციის პროცესის წარმართვისთვის აუცილებელი მასალები. დამატებით გამოთხოვილი იქნა ინფორმაცია პროგრამის ხელმძღვანელის დამტკიცების თაობაზე.

რამდენადაც კოლეჯი უკვე ახორციელებს სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ინტეგრირებულ სწავლებას და აქვს როგორც გამოცდილება, ისე შესაბამისი რესურსი ინტეგრირებული სწავლების განხორციელებისთვის, აღნიშნული პროგრამის ფარგლებშიც დაგეგმილი აქვს 15 პროფესიულ სტუდენტზე ინტეგრირებული სწავლების განხორციელება, რაც სტუდენტს საშუალებას მიცსემს პროფესიის შესწავლის და დაუფლების პარალელურად, მიიღოს სრული ზოგადი განათლება ინტეგრირებული სასწავლო მოდულებით გათვალისწინებული ცოდნის და უნარების შეძენა. საგანმანათლებლო დაწესებულებაში უშუალოდ ვიზიტის განხორცი-ელებამდე ექსპერტების ჯგუფის მიერ განხილული და შესწავლილი იქნა კოლეჯის მიერ გადმოგზავნილი დოკუმენტური მასალები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

გამოთხოვილ იქნა დამატებითი მასალები, გაკეთდა წინასწარი დასკვნის მონახაზი და შედგა ონლაინ შეხვედრის სამუშაო გეგმა - დღის წესრიგი.

დღის წესრიგის შესაბამისად განხორციელდა კოლეჯის წარმომადგენლობასთან ონლაინ შეხვედრები და გასაუბრებები,მათ შორის ხარისხის მართვის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, სასწავლო პროცესის მართვის მენეჯერთან, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლებთან, უსაფრთხოების მენეჯერთან, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან, ბიბლიოთეკართან. ონლაინ ფორმატში დათვალიერდა კოლეჯის ინფრასტრუქტურა, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სასწავლო გარემო, პროგრამის განხორციელებისთვის დაწესებულების მფლობელობაში არსებული აღჭურვილობა, პრაქტიკის ობიექტი, ბიბლიოთეკა, ინტეგრირებული ზოგადი მოდულებისთვის განკუთვნილი ლაბორატორია.

მიუხედავად ონლაინ ფორმატის თანმდევი ტექნიკური ხარვეზებისა, ვიზიტი განხორციელდა მშვიდ და საქმიან ვითარებაში ორივე მხარის წარმომადგენლების ერთობლივი ძალისხმევით. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის რეალურ გარემოებებთან შესაბამისობის შედეგების საფუძველზე, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა -„აგრომექანიზაცია“ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან სრულ შესაბამისობაშია.

განმარტების სახით დავძენთ, რომ ხობის მუნიციპალიტეტის სოფ.ნოჯიხევის ლოკაციაზე არსებული სასწავლო დაწესებულება წარმოადგენს სსიპ კოლეჯ „ფაზისის“ განუყოფელ ნაწილს, რომლის ადმინისტრირება ხორციელდება ცენტრალიზებულად ფოთის ლოკაციიდან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა:

- *ყოფილი პროფესიული სტუდენტების-კოლეჯის კურსდამთავრებულების კეთილი ნების გამოხატვა და გარე ინფრასტრუქტურის მოწყობა მათი უშუალო მონაწილეობით შესაბამისი კვალიფიკაციის და უნარ ჩვევების ფარგლებში.*

V. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების შეფასება და აღწერა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

-არ გაცემულა

VI.გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ხარვეზი არ დაფიქსირებულა

VII.რეკომენდაციების შეჯამება

განმავითარებელი რეკომენდაციები

2.1.1.1 სასურველია დაწესებულებამ შიდასამართლებრივი აქტების/ბრძანებების მომზადების დროს, შემდგომში გაითვალისწინოს ტერმინოლოგიის შესაბამისობა პროფესიული განათლების შესახებ ზოგადსაკანონმდებლო აქტებში გამოყენებულ დეფინიციებთან.

2.2.1.3 რამდენაც პროგრამის განხორციელებისთვის მოწვეულია ახალი კადრი- დარგში მოქმედი პრაქტიკოსი სპეციალისტები,სასურველია დაწესებულების მხრიდან,როგორც პროფესიული განათლების მასწავლებლებისთვის,მეთოდოლოგიური ტრენინგებისჩატარება .

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

გამოვიყენოთ, გადმოვიტანოთ ყველა რეკომენდაცია, რომლებიც მიეცა დაწესებულებას სტანდარტებთან უკეთ შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, კომპონენტის მითითებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

VII. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

PDF Eraser Free

ცხრილი ივსება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

პროგრამის სახელწოდება	აგრომექანიზაცია
პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია აგრომექანიზაციაში/Secondary Vocational Qualification in Agromechanization
სპეციალიზაციის/სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0716
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	ბრძანება № 01/17 12/03/2021 წელი.სსიპ კოლეჯი „ფაზისის“ დირექტორის მიერ
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების ადგილი (ადგილები)	ხობის რაიონი სოფ.ნოჯიხევი
პროგრამის განხორციელების ფორმა (მოდულური/დუალური)	მოდულური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30 პროფესიული სტუდენტი-მოდულური.ხობის მუნიციპალიტეტი,სოფ.ნოჯიხევი.
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს*(არსებობის შემთხვევაში).*	15
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	149
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	179
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

VIII. პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებისავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	შეესაბამება	მეტწილად შეესაბამება	ნაწილობრივ შეესაბამება	არ შეესაბამება
2) საგანმანათლებლო პროგრამები	☒	☐	☐	☐
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	სრული 3	სრული 3	მეტწილი 2	
2.2) პროგრამისგანხორციელებისრესურსი	სრული 3	მეტიწილი 2	მეტწილი 2	
2.3) საგანმანათლებლოპროგრამებისშეფასებადაგანვითარება	სრული3	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	მეტწილი 2	მეტწილი 2	ნაწილობრივი 1	

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის მე-2 სტანდარტის შეფასება ხორციელდება თითოეული პროგრამისთვის ცალ-ცალკე

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება.

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად.

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.1.1.1 **პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;**

სსიპ კოლეჯ „ფაზისის“ შეფასებით, შესაბამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აგრომექანიზაცია“ შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, სტრატეგიულ და მიმდინარე სამოქმედო გეგმებში გაწერილ ღონისძიებებთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აგრომექანიზაციის“ დამატების შესახებ გადაწყვეტილებას, წინ უძღოდა მთელი რიგი მოსამზადებელი სამუშაოები. პროფესიული პროგრამების დანერგვის,განხორციელების და ა.შ. შიდა მხარდაჭერის ჯგუფის გადაწყვეტილებით, პროფორიენტაციის და კარიერის დაგეგმვის მენეჯერმა განახორციელა შიდა ბაზრის განახლებული პირისპირ კვლევა კადრების მოთხოვნადობის დასადგენად. კერძოდ, განხორციელდა დისტანციური ჩართვები დამსაქმებლებთან, გამოკითხვები სპეციალურად შედგენილი კითხვარებით რეგიონში მოქმედ მსხვილ და საშუალო კომპანიებთან. გამოკითხვის და კვლევის შედეგები გამოკითხვის ფორმებთან ერთად წარედგინა დირექტორის მოადგილეს, რომელმაც თავის მხრივ დაწესებულების დირექტორს ოფიციალურად წარუდგინა კვლევის შედეგად შიდა ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები და მათ შორის „აგრომექანიზაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების აუცილებლობა ხობის მუნიციპალიტეტის სოფ. ნოჯიხევის ლოკაციაზე. საგანმანათლებლო პროგრამის დამატების და განხორციელების შესახებ გადაწყვეტილებით, კოლეჯმა მიზნად დაისახა, სოფლის მეურნეობის სფეროში არსებული ტექნიკური საშუალებების ექსპლუატაციის, დიაგნოსტირების და მომსახურების კომპეტენციების მქონე კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება, რაც განაპირობა კოლეჯის მიერ მიმდინარე ეტაპზე განხორციელებული ადგილობრივი ბაზრის კვლევის შედეგად გამოვლენილმა გარემოებებმა. კვლევამ აჩვენა, რომ ხობის მუნიციპალიტეტში კონკრეტულ საწარმოებსა და ფერმერულ მეურნეობებში კონკრეტული კომპეტენციის მქონე კონკურენტუნარიანი კადრის დეფიციტია, კერძოდ: ხობის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნების დარგის შემდგომი განვითარების მიზნით, აუცილებელია დარგში კონკურენტუნარიანი და კვალიფიციური კადრის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

მომზადება, იგივე ფიქსირდება დამსაქმებლების მხრიდან კადრების მოთხოვნებში, კვლევის შედეგად გამოვლენილმა მზარდმა მოთხოვნილებამ აპლიკანტების მხრიდან; ამ კუთხით, აგრომექანიზაციის მიმართულებით არსებულ საწარმოებში, პროფესიული კადრით უზრუნველყოფასთან ერთად, დღის წესრიგში დადგა აგრომექანიზაციაში დასაქმებული ოპერატორ-მექანიკოსების ასაკის გაახალგაზრდავებაც.

საგანმანათლებლო პროგრამა „აგრომექანიზაცია“დამტკიცებულია უფლებამოსილი პირის, კოლეჯის დირექტორის მიერ - დირექტორის ბრძანების საფუძველზე. განხორციელების ფორმა არის მოდულური და გათვალისწინებულია ასევე ინტეგრირებული სწავლების მიდგომა. თუმცა აქ უნდა აღინიშნოს, რომ შემდგომში შიდასამართლებრივი აქტების მომზადების დროს, სასურველია და აუცილებელი დაწესებულების მხრიდან გათვალისწინებული იქნეს ჩანაწერების და დეფინიციების შესაბამისობა ზოგად საკანონმდებლო აქტების მოცემულობებთან. კონკრეტულად კი დაწესებულების დირექტორის ბრძანებაში უმჯობესია სწორად ფიქსირდებოდეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ფორმა არის მოდულური და გათვალისწინებულია ინტეგრირებული სწავლების განხორციელება. დაწესებულების გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ შესაბამისობაშია დაწესებულების მისიასთან, სტრატეგიული განვითარების გეგმასთან და დასაბუთებულია განხორციელებული კვლევებით.

2.1.1.2 **საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;**

საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობის განსაზღვრისთვის დაწესებულებამ იხელმძღვანელა ჩარჩო დოკუმენტის შესაბამისად, კერძოდ: არაინტეგრირებული სასწავლო გეგმით სწავლების განხორციელებისას პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია სრული ზოგადი განათლება.ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში კი დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია საბაზო ზოგადი განათლება. პროგრამაზე ჩარიცხულ პირთა მიერ უკვე შეძენილი ცოდნა და უნარები უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ვადაში შესაბამისი სწავლის შედეგების მიღწევას. ამდენად, პროგრამა “აგრომექანიზაციაზე“ სტუდენტის დაშვების პროცედურები შესაბამისობაშია საქართველოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის # 152/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულება“-სთან. რაც შეეხება სტუდენტების ჩარიცხვის პროცედურებს, დაწესებულებას გაწერილი აქვს მარეგულირებელ დოკუმენტებში, კერძოდ “პროფესიულ სტუდენტთა დებულებაში“.

2.1.1.3 **პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;**

პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისთვის კოლეჯი ხელმძღვანელობს უფლებამოსილი პირის მიერ, ამ შემთხვევაში დირექტორის მიერ დამტკიცებული ზოგადი დოკუმენტით - „პროფესიული სტუდენტის ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია“. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს, ასევე, „აგრომექანიზაციის“ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დოკუმენტი, სადაც პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობა განსაზღვრულია 30 სტუდენტის ოდენობით, ხობის რაიონის სოფელ ნოჯიხევის ლოკაციაზე, დამტკიცებული დირექტორის მიერ ბრძანებით. 15 სტუდენტი გათვალისწინებულია ინტეგრირებულ სწავლებაზე. ვიზუალურად დათვალიერდა A და B გარემოები, რომლებშიც სტუდენტების რიცხოვნების შესაბამისად განთავსებულია სტუდენტების სწავლების პროცესისთვის აუცილებელი, შესაბამისი რაოდენობის ინვენტარი-შესაბამისად ერთი სააუდიტორო გაკვეთილისთვის A-გარემოში15 ერთჯერადად, გარემოში-20 მაგიდა/სკამი ერთჯერადად, თითეულ მაგიდაზე ინდივიდუალური ლეპტოპებით. დაწესებულებას პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული აქვს მემორანდუმები.თითეულ პრაქტიკის ობიექტს აქვს შესაძლებლობა განახორციელოს სრული შესაძლებლობით სტუდენტების პრაქტიკაზე დაშვება მოთხოვნილი კონტიგენტის ფარგლებში პრაქტიკის განხორციელების მიზნით, კერძოდ [redacted]5 პროფესიული სტუდენტი,“[redacted]20 სტუდენტი; შპს „ანდრიანი“-15 პროფესიული სტუდენტი; შპს „არტფაზისი“-15 პ/სტუდენტი; შპს „შამათია“-20 პ/სტუდენტი; შპს „ხარება“-20 პროფესიული სტუდენტი. აღნიშნული მემორანდუმების ფარგლებში მხარეები იღებენ ვალდებულებებს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მოდულების (22 მოდულია ასეთი) პრაქტიკული ნაწილით გათვალისწინებული სწავლის შედეგების დადასტურების მიზნით, შეუქმნან ხელშემწყობი გარემო ორგანიზაციის შინაგანაწესის, დებულების და სხვა კანონქვემდებარე აქტებში გაწერილი პუნქტების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

სრული დაცვით სსიპ კოლეჯ „ფაზისის“ მოთხოვნით „აგრომექანიზაციის“პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნილი 30 პროფესიული სტუდენტის სწავლება განხორციელდება ორ ცვლაში ან შეჭრილი ცხრილებით საჭიროებისდა მიხედვით.

2.1.1.4 **საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;**

დაწესებულებამ წინასწარ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აგრომექანიზაცია“განხორციელებისთვის გათვალისწინებული რესურსები. საგანმანათლებლო პროგრამის თანდართულ მოდულებში დაფიქსირებული თემატური საგანმანათლებლო რესურსებით შესაძლებელია მოდულში განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს ასევე დანართებში წარმოდგენილი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის ნუსხა. განსაკუთრებული ყურადღება დაწესებულებაში ეთმობა სტუდენტის მიერ აღნიშნული აღჭურვილობის მოხმარების დროს უსაფრთხოების წესების დაცვას. დაწესებულებას ყავს უსაფრთხოების მენეჯერი, რომელიც ცენტრალიზებულად კურირებას უწევს ხობის ლოკაციაზე უსაფრთხოგარემოს შექმნას. დაცვის წესები გამოკრულია შენობის ფოიეში, სასწავლო გარემოში, ასევე თითეული მოდულის განმახორციელებელი მეცადინეობის დასაწყისში პ/სტუდენტებს აცნობს მოდულის სპეციფიკიდან გამომდინარე უსაფრთხოების დეტალებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2.1.1.5. **საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამა „აგრომექანიზაციას“ სხვა დანარჩენ მოდულებთან ერთად აქვს ორი არჩევითი მოდული მთლიანობაში 7 კრედიტის მოცულობით: “კულტტექნიკური სამუშაოების ჩატარება“ და „სადურგლო საქმე სოფლის მეურნეობაში“. აღნიშნული მოდულები შინაარსობრივად სრულად მიესადაგება და ლოგიკურ ბმაშია საგანმანათლებლო პროგრამასთან, პროფესიულ მოდულებთან მაგალითისთვის როგორიცაა, „კულტტექნიკური სამუშაოების ჩასატარებელი მანქანების ტექნიკური სერვისი“. შერჩეული არჩევითი მოდულები პროფესიულ სტუდენტს აძლევს დამატებით ცოდნას და უნარებს მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფარგლებში.

2.1.1.6. **საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აგრომექანიზაცია“-0716 დანართებითურთ დამტკიცებულია სსიპ კოლეჯ „ფაზისის“ უფლებამოსილი პირის/დირექტორის მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტით/ბრძანებით.

2.1.1.7. **პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;**

შესაბამისი ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, „აგრომექანიზაცია“ სახელწოდება შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან, დაინტერესებული პირისთვის ინფორმატიულია პროგრამის კურსდამთავრებულების დასაქმების სფეროს და შესაძლებლობების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2.1.1.8 პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აგრომექანიზაცია“ , აგებულია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის „აგრომექანიზაცია/Agromechanization” საფუძველზე - სარეგისტრაციო ნომერი-07121. პროგრამის სტრუქტურა არის თანმიმდევრული. მთლიანობაში პროგრამა მოიცავს 5 ზოგად მოდულს 13 კრედიტის ოდენობით, ინტეგრირებული სწავლების შემთხვევაში 5 მოდულს 60 კრედიტის მოცულობით, 24 პროფესიულ მოდულს 70 კრედიტის მოცულობით და ორ სავალდებულო არჩევით მოდულს 7 კრედიტის მოცულობით. პროგრამაში გაწერილია ქართულენოვანი და არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის როგორც მოდულური, ისე ინტეგრირებული სწავლებისთვის აუცილებელი სწავლების ხანგრძლივობა შესაბამისი კრედიტების მოცულობით და კვირეული საათობრივი დატვირთვის დაცვით. ასევე ნათლად არის გაწერილი პროგრამაზე დაშვების წინაპირობა და პროგრამაზე დაშვების პროცედურები. ვიზიტის მსვლელობის დროს პროგრამის ხელმძღვანელთან და ხარისხის მართვის მენეჯერთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ მასალების წინასწარი შესწავლის დროს დაფიქსირდა უზუსტობა, უცხოური ენის მოდულში და საგანმანათლებლო პროგრამის გადმოგზავნილ ვერსიაში, რომელიც ტექნიკური ხასიათის იყო და უკავშირდებოდა ელექტრონულად გადმოგზავნის დროს ტექნიკურ უზუსტობა. დაწესებულებამ გადმოაგზავნა ის ვერსიები, რომლებიც ადგილზე საქმისწარმოებაში ჰქონდათ ჩაშვებული. დაწესებულებას გაწერილი აქვს სასწავლო გეგმა და მოდულები ინტეგრირებული და არაინტეგრირებული სწავლების პროცესისთვის-ინტეგრირებულის შემთხვევაში 3 წლის ხანგრძლივობით. პროგრამაში გაწერილია რეგულაციები და სწავლის ხანგრძლივობის ვადა იმ არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის, რომლებიც საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის უფლებას მოიპოვებენ „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 27 სექტემბრის #152/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისობით.ამ სტუდენტებისთვის ქართული ენა A2 და ქართული ენა B1-ის გავლა სავალდებულოა. ასევე ადამიანური და მატერიალური რესურსი შესაბამისი სწავლების გარემოს აღჭურვილობით. საწარმოო პრაქტიკის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან. პრაქტიკის ობიექტის „ხარებას“წარმომადგენელმა ინტერვიურების დროს აღნიშნა, რომ თავადაც დაინტერესებული იყო „აგრომექანიზაციის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებით, რომ იგი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საწარმოს და გამოთქვა სრული მზადყოფნა, საწარმოს მფლობელობაში არსებულ მიწის ფართობზე რეალურ გარემოში პრაქტიკის კომპონენტით გათვალისწინებულ სამუშაოებში სტუდენტების ჩართვის. დაინტერესება გამოიხატა ასევე კვალიფიციური კადრის დასაქმებაში საწარმოების მხრიდან. რამდენადაც კვლევებმა აჩვენა, რომ აგრომექანიზაციის სფეროში დასაქმებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ოპერატორ-მექანიკოსების ასაკი უმრავლეს შემთხვევაში 70 წელს წარმოადგენს, კადრების გაახალგაზრდავების მიზანი დამსაქმებლის ინტერესშია მოქცეული.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმისმტკიცებულებები/ინდიკატორებიშესაბამისიდოკუმენტებისადაინტერვიუსშედეგებისჩათვლით

1. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აგრომექანიზაცია“დამტკიცების შესახებ კოლეჯ „ფაზისის“ დირექტორის ბრძანება # 01/07 12.03.2021 წელი;
2. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის,განხორციელებისა და შეფასების მეთოდოლოგია;
3. “პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და დამატების წესი“.დირექტორის ბრძანება 01/111 16.11.2017 შემდგომში განხორციელებული ცვლილება-ბრძანება # 01/15.26.02.2020 ;
4. სსიპ კოლეჯ ფაზისის მარეგულირებელი დოკუმენტაცია -„პროფესიულ სტუდენტთა დებულება“;
5. სასწავლო გეგმები მოდულური და ინტეგრირებული სწავლების განსახორციელებლად;
6. პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოლოგიის დამტკიცების შესახებ კოლეჯის დირექტორის ბრძანება # 01/111 166.11.2017 შემდგომში ცვლილება ბრძანებით #01/15 26.02.2020;
7. პროფესილი სტუდენტების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის დასაბუთება;
8. კოლეჯის მისია, ხედვა, სტრატეგიული განვითარების ერთწლიანი და გრძელვადიანი (2020-2026) სამოქმედო გეგმები;
9. პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული მემორანდუმები;
10. მატერიალური და ტექნიკური აღჭურვილობის ფლობის დოკუმენტები;
11. დაწესებულების ვებგვერდი : http://phazisi.edu.ge/ ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

12. საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგი;
13. ინტერვიურების შედეგები შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებთან;
14. დაწესებულების ონლაინ ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისიგრაფისმონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი.

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით.

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

2.2.1.1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/ პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;**

კოლეჯი უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო და აუცილებელი მატერიალური რესურსებით და აღჭურვილობით, რაც უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის (30 სტუდენტი, მათ შორის 15 ინტეგრირებული) ფარგლებში სასწავლო პროცესის შეუფერხებელ განხორციელებას. შესაბამის სასწავლო გარემოში (A და B) გარემოში პროფესიული სტუდენტისთვის და მასწავლებლისთვის შექმნილია სწავლების კომფორტული გარემო მატერიალური რესურსების არსებობით. A გარემოში სტუდენტების რაოდენობის მიხედვით განლაგებული მაგიდა-სკამები, თითეულ სტუდენტზე განკუთვნილი ლეპტოპით, სწავლებისთვის საჭირო ციფრული მოწყობილობების კომპლექტაციით 15 სტუდენტზე. ასევე B გარემო უზრუნველყოფილია 20 სტუდენტის გამტარუნარიანობით შესაბამისი მატერიალური რესურსებით. C გარემო შესაბამისია სტანდარტების მოთხოვნებთან, სტუდენტის სწავლის შედეგების მიღწევა შესაძლებელია კოლეჯის მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით. დისტანციური ჩართვის დროს დათვალიერებული იქნა კოლეჯის მფლობელობაში არსებული პრაქტიკული კომპონენტისთვის საჭირო წვრილი და მსხვილი ტექნიკა, მათ შორის ვნახეთ კოლეჯის საკუთრებაში არსებული ტრაქტორი MT3-82 სასოფლო-სამეურნეო აგრეგატებთან ერთად. კოლეჯს გაფორმებული აქვს უვადო მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან: [redacted]; შპს „ანდრიანი“; შპს „არტფაზისი“; შპს „შამათია“ ; შპს „ხარება“. ვიზიტის დროს მოხდა ჩართვის განხორციელება და ინტერვიურება პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელთან, „ი/მ სერგო ბერაიასთან“, რომლის მფლობელობაში არის 30 ჰექტარი მიწა, აქედან 6 ჰექტარზე მოწყობილი აქვს სანერგე მეურნეობა, 6 ჰექტარზე დაფნის კულტურა და 6 ჰექტარზე გაშენებული აქვს მოცვის კულტურა. „ი/მ სერგო ბერაია“-ს წარმომადგენელმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

დადასტურა გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში, როგორც წარმომადგენელი მხარის მზაობა სასოფლო სამეურნეო ფართობებზე და კომპანიის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსების გამოყენებით მაქსიმალურად ხელი შეუწყონ კოლეჯს საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში და მოამზადონ კვალიფიციური კადრი შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად დასაქმების გარანტიით.პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებაში მონაწილეობს როგორც კოლეჯის მიერ გამოყოფილი პასუხისმგებელი პირი, ისე პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელი.

დაწესებულებას დაგეგმილი აქვს 30 პროფესიული სტუდენტის სწავლება. აქედან 15 სტუდენტი ინტეგრირებულ სწავლებაზე,სწავლების შეუფერხებელ პროცესს უზრუნველყოფს ორ ცვლაში სწავლებით ან შეჭრილი ცხრილების ორგანიზებით.

აქვე დავძენთ,რომ განაცხადის წარდგენის მომენტში მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა ინტეგრირებული მოდულების განხორციელებისთვის იყო შესყიდვის პროცესში, ამიტომ კოლეჯს 2.2. კომპონენტი შეფასებული ჰქონდა მეტწილად შესაბამისად, თუმცა სასწავლო გარემოს ონლაინ რეჟიმში ვიზუალური დათვალიერებისას კოლეჯმა აღნიშნული აღჭურვილობა წარმოადგინა ვიზუალურად და მათი ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მატერიალური სახით.

2.2.1.2 **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აგრომექანიზაციის“ განხორციელება სრულად უზრუნველყოფილია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსით.მოდულების განმახორციელებლების-პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა და საათობრივი დატვირთვა, უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას. სასწავლო გეგმები ისეა შედგენილი, რომ დასტურდება არსებული კონტიგენტის სწავლებისთვის სასწავლო ფართების გამტარუნარიანობა, ასევე დაცეულია, როგორც კვირეული დატვირთვა მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში და არ აღემატება 40 საათს. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ჩართულია 22 პროფესიული მასწავლებელი,მათ შორის 6 ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებელი. პროფესიული მასწავლებლის კვირეული დატვირთვა არ აღემატება 30 საათს.პროფესიული მასწავლებლების დატვირთვა უშუალოდ საკონტაქტო საათების გარდა, ითვალისწინებს მათ აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესის სხვა აქტივობებშიც, როგორიცაა: შეფასების ინსტრუმენტების შექმნის და სტუდენტების შეფასების პროცესი, პროფესიულ განმავითარებელი ტრენინგები და სხვა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აგრომექანიზაცია“ განხორციელებისთვის გათვალისწინებული პროფესიული მასწავლებლების რაოდენობა და დატვირთვა დაგეგმილი სწავლების პროცესისთვის პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფის გარანტია.

2.2.1.3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;**

დაწესებულების მიერ წინასწარ წარმოდგენილი და ასევე დამატებით გამოთხოვილი პირადი საქმეების შესწავლა ადასტურებს, რომ პროფესიული განათლების მასწავლებლებს, რომლებიც ძირითადი მოდულების განმახორციელებლებად არიან მოაზრებული ,უდასტურდებათ საკმაოდ მაღალი კვალიფიკაცია, მათ შორის განიხილება ერთი მეცნიერებათა დოქტორის და ერთი მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მქონე მასწავლებელი. ასევე ამ სფეროში მრავალწლიანი გამოცდილება უდასტურდებათ პრაქტიკოს სპეციალისტებს. რაც შეეხებათ ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებს, მათი შერჩევა კოლეჯში განხორციელდა „პროფესიული მასწავლებლის, ადმინისტრაციის, დამხმარე და მომსახურე პერსონალის შერჩევის წესის“თანახმად გამოცხადებული კონკურსის საფუძველზე, შერჩევის კრიტერიუმების და წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხის სრული დაცვით. დაწესებულებას ასევე შემუშავებული აქვს ხარისხის მენეჯმენტის სისტემა და თანამდებობრივი ინსტრუქცია შესაბამისი კვალიფიკაციების მოთხოვნებით, სამუშაო გამოცდილების დადასტურებით. პერსონალთან გაფორმებულია ხელშეკრულებები, დაცულია პერსონალური მონაცემების გამოყენებაზე თანხმობის დოკუმენტი უფლებამოსილი პირის მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

დამტკიცებული ინტერვიურების დროს გამოიკვეთა: ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლებს სრულად აქვთ გაცნობიერებული ის მომენტი, რომ მათთან სკოლიდან ხვდებიან მოსწავლეები, რომელთაც უნდა შეუქმნან ინტერესი და მოტივაცია როგორც ზოგადი განათლების კურსის დასრულების, ასევე პარალელურად პროფესიის დაუფლების. ამიტომ მაქსიმალურად არიან ჩართულები ზოგადი და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებთან კოორდინირებულ მუშაობაში. მოდულების განხორციელების მექანიზმი კოლეჯს ისე აქვს შემუშავებული, რომ ერთი მოდულის სწავლების ფარგლებში, დაშვებულია სხვადასხვა განმახორციელებლის ჩართვა სწავლის ცალკეული შედეგების დადასტურების მიზნით.

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება პროგრამის განხორციელების მიზნებს და უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტისთვის სწავლის შედეგების გამომუშავებას და შეფასების კომპეტენციას.ინტერვიურების დროს გამოიკვეთა,რომ კოლეჯი უკვე ახორციელებს სამ საგანმანათლებლო პროგრამაზე ინტეგრირებულ სწავლებას და შესაბამისად მოდულების განმახორციელებლებს აქვთ შესაბამისი გამოცდილება სწავლების პროცესის.ასევე გამოცდილი კადრია მოწვეული პროფესიული მოდულების განმახორციელებლებად, რომელთაც დარგში მუშაობის მრავალწლიანი პრაქტიკული გამოცდილება აქვთ და გამომდინარე პროფესიული განათლების სწავლების სპეციფიკიდან, სასურველია ამ მიმართულებით ახლად აყვანილ კადრებს დაწესებულების მხრიდან ჩაუტარდეთ მეთოლოგიური ტრენინგები.

2.2.1.4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;**

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას „აგრომექანიზაციას“ ჰყავს დაწესებულების უფლებამოსილი პირის/დირექტორის მიერ ბრძანებით დამტკიცებული პროგრამის ხელმძღვანელი,რომელსაც უდასტურდება კვალიფიციური გამოცდილება და დარგობრივი კომპეტენცია. ვიზიტის დროს პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებით დადგინდა,რომ იგი უშუალოდ ჩართულია როგორც მთლიანად პროგრამის შემუშავების და განხორციელების ცალკეულ კომპონენტებში,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ასევე კოორდინაციას უწევს შესაბამისი დარგობრივი მოდულების განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების საქმიანობას და ამდენად წარმოადგენს პროგრამის წარმატებულად განხორციელების გარანტს.

2.2.1.5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;**

ონლაინ განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში დისტანციურად დათვალიერებული იქნა დაწესებულების ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნოჯიხევის ლოკაციაზე საბიბლიოთეკო სივრცე და სამკითხველო დარეგაზი.ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი.საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში დაფიქსირებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია პროფესიული სტუდენტებისთვის, როგორც ელექტრონული სახით, ისე ციფრულ მატარებლებზე, რომელსაც კურირებას უწევს სასწავლო პროცესის მენეჯერი ხობის ლოკაციაზე, თუმცა სტუდენტების და პროგრამების დამატების შემთხვევაში იგეგმება ცალკე სტრუქტურული რესურსის (ბიბლიოთეკარი) აყვანა, მომსახურების გაუმჯობესების მიზნით. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. საჭიროების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს საშუალება აქვს შესაბამისი რესურსი მიიღოს ამობეჭდილი სახით. საგანმანათლებლო რესურსები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. კოლეჯი ამუშავებს „openbiblio'- სისტემას.საგანმანათლებლო რესურსების ნუსხის სახელობითი ჩამონათვალი ასევე განთავსებულია ვებ გვერდზე „ბიბლიოთეკის" ჩანართში. ექსპერტების მიერ შერჩევითი წესით გადამოწმდა და დადასტურდა მოდულებში დაფიქსირებული ლიტერატურის ფაქტობრივი ფლობა.

2.2.1.6 **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;**

დაწესებულების ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია. ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულებას აქვს გამოცდილება სხვა საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შშმ და სსმ პირებისთვის შესაბამისი ადაპტირებული სასწავლო გარემოს შექმნის, ამიტომ გამოითქვა სრული მზადყოფნა იმ შემთხვევისთვის, პროგრამაზე თუ იქნებიან ასეთი საჭიროებების მქონე პირები, დაწესებულება უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული დამატებითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ღონისძიებებთან, შესაბამისი ინდივიდუალური სასწავლო გეგმით უზრუნველყოფას, მათ წვდომას გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან. კოლეჯის დირექტორის ბრძანების საფუძველზე ყოველი შშმ და სსმ პირისთვის(ასეთის არსებობის შემთხვევაში) დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმა,რომელიც ეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამას/მოდულსდა არის ამ პროგრამის მოდიფიკაცია/აკომოდაცია. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფის მიერ ხორციელდება აღნიშნული გეგმით სწავლების პროცესის მონიტორინგი და შედეგების წარდგენება დირექციას. სამუშაო ჯგუფში მონაწილეობენ უშუალოდ მოდულების განმახორციელებელი პედაგოგები, ასევე ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტები, რომლებიც სისტემატიურად ერთვებიან მეცადინეობის მიმდინარეობის პროცესში.დაწესებულებას აქვს გამოცდილება სხვა საგანმანათლებლო პროგრამებზე სსმ პირებთან მუშაობის,რომელსაც სრულად გამოიყენებს ახალი პროგრამის განხორციელების დროსაც.

დაწესებულების ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია შშმ და სსმ პირებისთვის. დამონტაჟებულია პანდუსები სტანდარტების შესაბამისობით.დაწესებულების ინფრასტრუქტურა,სასწავლო ოთახები, C გარემო ადაპტირებულია პანდემიიდან გამომდინარე რეგულაციების სრული დაცვით. უსაფრთხოების პირობები დაცულია C გარემოში, გარემოს შიდა სივრცეში სხვა ტექნიკურ აღჭურვილობასთან ერთად განთავსებულია სასწრაფო დახმარების ყუთი შესაბამისი ატრიბუტებით.

2.2.1.7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხელშეწყობის და მდგრადობის გარანტია დაწესებულების ფინანსური რესურსებით უზრუნველყოფა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა უზრუნველყოფილია ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსებით, რაც ხორციელდება საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს ეგიდით პროფესიული საფეხურის საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი ფინანსური საქმიანობის დამადასტურებელი დოკუმენტებით, სადაც განსაზღვრულია სტუდენტების რენტაბელობის ზღვარი, ასევე ვაუჩერული და პროგრამული დაფინანსება, პროგრამული მასწავლებლების შრომითი ანაზღაურებისთვის გათვლილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ლიმიტი. სასწავლო-მიზნობრივი, ადმინისტრაციული და კომუნალური ხარჯების ბიუჯეტური გათვლები, იძლევა პროგრამის განხორციელების ფინანსური მხარის უზრუნველყოფის საშუალებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- მატერიალური და ტექნიკური აღჭურვილობის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
- ინტეგრირებული სწავლებისთვის აღჭურვილობის ფლობის დოკუმენტები:მიღება-ჩაბარების აქტები;
- პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- პროგრამის განმახორციელებლების,პროგრამის ხელმძღვანელის,ადამიანური რესურსების პირადი საქმეები;
- სასწავლო გეგმა მოდულური და ინტეგრირებული სწავლებისათვის;
- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი“;
- შრომითი ხელშეკრულებები;
- თანხმობა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე და ფოტო/ვიდეო მასალის გამოყენებაზე;
- სასწავლო პროგრამის რეგულირების წესი“;
- „ბიბლიოთეკის სარგებლობით წესი“ ;
- „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმი“;
- პროგრამის განმახორციელებლებთან,პროგრამის ხელმძღვანელთან ინტერვიურება;
- პრაქტიკის ობიექტის „ხარება“წარმომადგენელთან გასაუბრება;
- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
- ვებ გვერდი http:/phazisi.edu.ge/;
- სასწავლებლის ინფრასტრუქტურის,სასწავლო გარემოების, ბიბლიოთეკის ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐მეტწილად შეესაბამება
☐ნაწილობრივ შეესაბამება
☐არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით.

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.
2. პსდ აანალიზებსპროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.3.1.1 **.პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აგრომექანიზაციის“, ისევე როგორც სხვა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმების განხორციელება ხდება დაწესებულების მიერ შემუშავებული და უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტებით. არსებული დოკუმენტების ფორმირების დროს კოლეჯი ხელმძღვანელობს შრომის ბაზრის კვლევების შედეგად მიღებული მოთხოვნების ანალიზის საფუძველზე. მუდმივად განიხილავს რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე მიმართულებებს, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან მუდმივ ჩართულობას და დაინტერესებულ მხარეებთან უკუკავშირის საშუალებით მიღებულ მნიშვნელოვანი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე განიხილავს და გეგმავს განსახორციელებელ ღონისძიებებს. კოლეჯის მიერ შემუშავებულ „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და დამატების წესში“ მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ზემოთ აღნიშნული მექანიზმებით შრომის ბაზრის მოთხოვნებს კონკურენტუნარიანი კვალიფიციური კადრების მომზადების უზრუნველსაყოფად. როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

დოკუმენტაციის გაცნობით, ისე ინტერვიურებიდან გამოიკვეთა, რომ შრომის ბაზრის მოთხოვნები და მისი ანალიზის შედეგად მოთხოვნადობის დადასტურება, ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსების მყარი უზრუნველყოფა პროგრამის განხორციელების შეფასების საუკეთესო მახასიათებლებია. კოლეჯი წლების მანძილზე წარმატებულად ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების დანერგილ სისტემას და მიღებული შედეგების საფუძველზე იღებს სასწავლო პროცესის და პროგრამის განხორციელების ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებებს. ინტერვიურებიდან გამოიკვეთა, რომ დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს პარტნიორ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, იზიარებს და ნერგავს საუკეთესო გამოცდილებას. შიდა მექანიზმების ჩართულობით სხვადასხვა ფორმებით: მეცადინეობებზე დასწრების გზით, პროფესიული სტუდენტების და მასწავლებლების გამოკითხვების შედეგების საფუძველზე ახდენს პროფესიული განათლების მასწავლებლის, როგორც პროგრამის განხორციელებაში უშუალოდ ჩართული პირის კომპეტენციებს სწავლების პროცესში.განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დარგობრივი კომპეტენციების შეფასებას და შემდგომ განვითარებას, ცოდნის გადაცემის უნარს, სასწავლო კურსის განხორციელების პროცესის სრულყოფილად წარმართვას. კოლეჯში დანერგილია პროფესიული განათლების მასწავლებლების ურთიერთდასწრების პრაქტიკა. განსაკუთრებით ახალბედა პედაგოგებს, მიუხედავად მათი დადასტურებული კომპეტენციებისა, კოლეჯის ხარისხის სამსახური ეხმარება პროფესიული განათლების მასწავლებლის გამოცდილების და უნარების შეძენაში მეთოდოლოგიური მასალებით, საუკეთესო პედაგოგების პრაქტიკის გაზიარებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2.3.1.2. ამ ანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება აფასებს პროგრამის განხორციელების ხარისხს და თუ ამის საჭიროება გახდება ახორციელებს ცვლილებებს პროგრამაში/მოდულებში დაწესებულების მიერ შექმნილი და უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული დოკუმენტებით, კერძოდ:“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და დამატების წესში“ დეტალურად არის გაწერილი პროგრამაში ცვლილების შეტანის პროცედურები. ასევე ცალკე დოკუმენტად აქვთ დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების და მათ შორის იმ საგანმანათლებლო პროგრამების, რომლებშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, განხორციელების შეფასების წესი“, რომელშიც დეტალურად აღწერილია საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების მექანიზმები, რასაც უპირველესად წარმოადგენს დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშის მომზადება და განათლების ხარისხის განვითარების ცენტრში წარდგენა; პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების კრიტერიუმების შემუშავება და მათ საფუძველზე ყოველწლიურად შიდა შეფასების განხორციელება და სხვა მნიშვნელოვანი ღონისძიებები.

ზოგადად კოლეჯში საგანმანათლებლო პროგრამის შეფასება ხორციელდება როგორც პროგრამის განხორციელების პროცესში, ასევე პროგრამის დასრულების შემდეგ შემდგომი განვითარების და გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით შედგენილი აქვს პროფესიული სტუდენტების კითხვარი,რომელიც არის ანონიმური და იძლევა საშუალებას სტუდენტებმა გაბედულად დააფიქსირონ საკუთარი მოსაზრებები. კურსდამთავრებულთა სტატისტიკის, დამსაქმებლის კითხვარები. ასევე ითვალისწინებს ინტერვიურების შედეგად გამოკვეთილ ძირითად მიგნებებს და ახდენს მოდულის შეფასებისთვის დასწრების ოქმებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

შეხვედრის დროს აღინიშნა, რომ პანდემიის მდგომარეობიდან გამომდინარე დასაქმების მაჩვენებელი 2020 წელს 2019 წელთან შედარებით შემცირდა, თუმცა ვარაუდობენ კვლავ მომატებას.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

- *სსიპ საზოგადოებრივი კოლეჯ „ფაზისის“ ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;*
- *სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ფაზისის დირექტორის 2020 წლის 26/02/#01/15 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების და დამტკიცების წესი“;*
- *სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ ფაზისის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის,მათ შორის იმ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ,რომელშიც ინტეგრირებულია ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგები, განხორციელების შეფასების წესი“ ;*
- *დაწესებულების შიდამხარდამჭერი ჯგუფის ოქმით;*
- *პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აგრომექანიზაცია“განხორციელების მიზანშეწონილობის დასაბუთებით;*
- *კურსდამთავრებულთა დასაქმების კვლევის ანალიზი;*
- *ხარისხის მართვის მენეჯერთან ინტერვიურებით;*
- *დაწესებულების ვებ გვერდით;*
- *დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამების კატალოგით;*

კომპონენტის/კრიტერიუმისმტკიცებულებები/ინდიკატორებიშესაბამისიდოკუმენტებისადაინტერვიუსშედეგებისჩათვლით

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელიამხოლოდერთიგრაფისმონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება დაპროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას.

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/ სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.1.1 **პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აგრომექანიზაცია“ დაწესებულების დირექტორის მიერ დამტკიცებული ბრძანებით განხორციელდება მოდულური ფორმით, ინტეგრირებული მიდგომის გათვალისწინებით, შესაბამისად დაწესებულებას შედგენილი აქვს სასწავლო გეგმა როგორც მოდულური, ისე ინტეგრირებული სასწავლო პროცესისთვის.

სასწავლო პროცესის დაგეგმვის დროს დაწესებულებას გათვალისწინებული აქვს ყველა გარემოება სწავლის პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით. სასწავლო გეგმების სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის თანმიმდევრულ განხორციელებას, პროგრამის აგების თავისებურებას მოდულური, მათ შორის ინტეგრირებული სწავლებისთვის. დაცულია მოდულებით განსაზღვრული წინაპირობები, პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა, განმეორებითი შეფასების მექანიზმები. მასალების წინასწარი შესწავლის გამოიკვეთა რომ პროგრამას თანდართულ მოდულებში უცხოური ენის მოდული (0230101) ნაცვლად 4 კრედიტიანისა (საერთო კრედიტების ჯამი 100) დართული იყო 5 კრედიტიანი (0230102) საერთო 125 კრედიტის ოდენობით, თუმცა სასწავლო გეგმეში სწორად არის კრედიტები მითითებული. ასევე საგანმანათლებლო პროგრამის პირველ და მეოთხე ჩანაწერებში ფიქსირდებოდა ჩანაწერი „ჩარჩო დოკუმენტი“. დაწესებულების წარმომადგენლებთან, ხარისხის მართვის მენეჯერთან და პროგრამის ხელმძღვანელთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ დაწესებულების საქმის წარმოებაში აღნიშნული დოკუმენტები სწორად იყო წარმოდგენილი, აღნიშნული უკავშირდებოდა ტექნიკურ პრობლემას დოკუმენტების ელექტრონულ ფორმატში მიმაგრების და გადმოგზავნის დროს.ავტორიზაციის ჯგუფის მოთხოვნით აღნიშნული დოკუმენტების (უცხო ენის მოდული, საგანმანათლებლო პროგრამა „აგრომექანიზაცია“ გადმოგზავნილი იქნა დაწესებულების მიერ ხარისხის ცენტრის წარმომადგენელთან.

სასწავლო გეგმებში პროფესიული სტუდენტის კვირეული დატვირთვა დამოუკიდებელ საათებთან ერთად არ აღემატება 40 საათს.ასევე გათვალისწინებულია განმეორებითი შეფასებისთვის საჭირო აუცილებელი შუალედი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2.4.1.2. ამ ეტაპზე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;

დაწესებულება სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ორგანიზაციულ საკითხად განიხილავს პროფესიული სტუდენტების ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებას სწავლების პროცესში. ინფრასტრუქტურის, სასწავლო გარემოს ვიზუალური დათვალიერებით ვნახეთ, რომ დაწესებულებას აქვს შესაფერისი გარემო სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად, ასევე საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა და პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსი. იმ შემთხვევაში, თუ პროგრამაზე იქნება სსმ ან შშმ პირი, დაწესებულება ადაპტირებულია ასეთი პირების სწავლის პროცესში ჩართვის უზრუნველყოფით, საჭიროების შემთხვევაში შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით, პროფესიული სტუდენტის ან მსმენელის საჭიროებისთვის შემუშავებული აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შექმნის მექანიზმები, სადაც დეტალურად გაწერილი აქვს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად დროში მიღწევადი სწავლის რეალური შედეგები, სტრატეგიები-საგაკვეთილო პროცესში მოდულის განმახორციელებელ მასწავლებელთან ერთად საჭიროების შემთხვევაში ერთვებიან ფსიქოლოგები, დამატებითი პერსონალი-მატერიალური რესურსების მენეჯერი,ასევე კოლეჯს ჰყავს ინკლუზიური განათლების ორი სპეციალისტი,(საჭიროების შემთხვევაში გადანაწილდება ხობის ლოკაციაზე) ,აუცილებლობის შემთხვევაში ერთვება მშობელი. დაწესებულებას დირექტორის ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული აქვს ფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების აღიარების წესი, სადაც დეტალურად განხილულია აღიარების საფუძველი, ეტაპები პროცედურები გადაწყვეტილების მისაღებად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

2.4.1.3 **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;**

სსიპ კოლეჯი „ფაზისის“ სწავლების პროცესში გათვალისწინებულია სწავლების თანამედროვე მეთოდები და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიები.დაწესებულებას აქვს უწყვეტი ინტერნეტკავშირი, სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია. კოლეჯის ხელმძღვანელობა ხარისხის მექანიზმების ჩართულობით აქტიურად ახორციელებს მუშაობას პროფესიული მასწავლებლების შემდგომი განვითარების მიზნით კვალიფიკაციის ასმაღლებელი და განმავითარებელი ტრენინგ კურსების ორგანიზების მიმართულებით. პროფესიული განათლების მასწავლებლების პირადი საქმეებში ფიქსირდება ტრენინგების გავლის და შესაბამისი სერტიფიკატების ფლობა.

2.4.1.4 **პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;**

დაწესებულების დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის საფუძველზე იქმნება კომისია, რომელიც ახდენს ინდივიდუალური საჭიროებების დადგენას თითოეული მოდულის/სწავლის შედეგის ფარგლებში სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გათვალისწინებული პროცედურების დაცვით. აღნიშნული რეგულაცია დეტალურად გაწერილია „ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მექანიზმებში“. იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.კოლეჯს აქვს ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების გამოცდილება სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩართული სსმ პირებისთვის. კოლეჯის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია დისტანციური სწავლების რეგულირების წესი.

2.4.1.5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აგრომექანიზაციაში“ განსახორციელებელი მოდულების ფარგლებში პრაქტიკული კომპონენტის განხორციელებისთვის დაწესებულებას ნოჯიხევის ლოკაციაზე განთავსებული აქვს მძიმე ტექნიკა თანმდევი მოწყობილობებით,ასევე C გარემო აღჭურვილია საჭირო ტექნიკური საშუალებებით. გარდა ამისა დაწესებულებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

უვადო მემორანდუმი აქვს გაფორმებული პრაქტიკის ობიექტებთან,რომლის ფარგლებში მხარეები იღებენ ურთიერთ თანამშრომლობის ვალდებულებას პრაქტიკის ობიექტების მხრიდან სტუდენტების რეალურ სამუშაო გარემოთი უზრუნველყოფის მიზნით.

2.4.1.6. **სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.**

დაწესებულებაში შექმნილია სწავლის პროცესის შეუფერხებელი წარმართვისთვის შესაფერისი გარემო, უსაფრთხოების წესების სრული დაცვით. ონლაინ რეჟიმში შენობის, აუდიტორიების, სასწავლო გარემოს , პრაქტიკის ობიექტების ვიზუალური დათვალიერებისას გამოიკვეთა სასწავლო პროცესის განხორციელების უსაფრთხო გარემო პირობები. შენობის ინტერიერში გამოკრულია უსაფრთხოების და კრიზისული სიტუაციების გეგმები, განთავსებულია საინფორმაციო და სახანძრო დაფები, დამონტაჟებულია ხანძარსაწინააღმდეგო მცირე ტექნიკური საშუალებები. აუდიტორიებში და განსაკუთრებით C გარემოს სივრცეში არის პირველადი სამედიცინო დახმარების აღჭურვილობა. უსაფრთხოებას ხელმძღვანელობს სერტიფიცირებული, უსაფრთხოების მენეჯერი. პრაქტიკული პროექტების და პრაქტიკული კომპონენტების მოდულების განმახორციელებლები, ასევე ინტეგრირებული მოდულების განმახორციელებლები, რომლებსაც უხდებათ ლაბორატორიული სამუშაოების შესრულება, ყოველი მეცადინეობის დასაწყისში პროფესიულ სტუდენტებს აცნობენ ტექნიკასთან ურთიერთობის უსაფრთხოების წესებს. კოლეჯი უსაფრთხოების სისტემას ახორციელებს ISO 9001-2015-ის მიხედვით, კერძოდ SOP-001 შრომის დაცვა და ტექნიკური უსაფრთხოება.

დაწესებულება ნოჯიხევის ლოკაციაზე სრულად არის მობილიზებული და ადაპტირებული პანდემიით გამოწვეული მოთხოვნების შესაბამისად რეგულაციების დასაცავად.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

კომპონენტის/კრიტერიუმისმტკიცებულებები/ინდიკატორებიშესაბამისიდოკუმენტებისადაინტერვიუსშედეგებისჩათვლით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „აგრომექანიზაცია“;
- მოდულური და ინტეგრირებული სწავლებისთვის შემუშავებული სასწავლო გეგმები;
- დაწესებულებაში არსებული ხარისხის მენეჯმენტის სისტემა: შრომის დაცვა და ტექნიკური უსაფრთხოება;
- დაწესებულების დირექტორის ბრძანება დისტანციური სწავლების რეგულირების წესის შესახებ;
- დაწსესებულების უსაფრთხოების მენეჯერთან გასაუბრება;
- უსაფრთხოების მენეჯერის პირადი საქმე;
- შენობის და სასწავლო სივრცის ვიზუალური დათვალიერება;
- ჰოსტის ფლობის დოკუმენტი;
- ხანძარსაწინააღმდეგო სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულება;
- პარტნიორ ორგანიზაციებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ვებ გვერდი http://www.phazisi.edu.ge/;

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

PDF Eraser Free

კომპონენტის/კრიტერიუმის მოთხოვნებთან შესაბამისობი საღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

2.4.2.1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;

სსიპ საზოგადოებრივ კოლეჯ „ფაზისს“ შემუშავებული აქვს სწავლის შედეგების შეფასების წესი, სადაც გაწერილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების, პროფესიული სტუდენტების შეფასების დოკუმენტაციის წარმოების მექანიზმები, კერძოდ: საგანმანათლებლო პროგრამებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის დადასტურება ხდება მოდულში გაწერილი მტკიცებულებების შესაბამისი ფორმებით, რომლებიც გროვდება და გარკვეული რეგულაციების დაცვით ინახება კანონით დადგენილი ვადით. იგივე ხდება შეფასების უწყისების შემთხვევაში, რომლებიც ექვემდებარებიან უვადოდ შენახვას. ინტერვიურების დროს პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართულები არიან მოდულის განმახორციელებლები და იცნობენ მოდულში გაწერილ შეფასების ინსტრუმენტებს და საჭიროების შემთხვევაში მოდულის ადაპტირების დროს შეარჩევენ შეფასების შესაბამის ფორმებს. პროფესიული სტუდენტის შეფასების დროს განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ვალიდურობას, რამდენად არის შესაბამისობაში პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მოდულებში შეფასების მიზნებიდან გამომდინარე შერჩეული ინსტრუმენტები. ინტერვიურების დროს პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მოდულების განმახორციელებლები მაქსიმალურად იცავენ ვალიდურობის, სანდოობის და სამართლიანობის პრინციპებს.

2.4..2.2 **პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;**

დაწესებულებას განსაზღვრული აქვს შიდა ვერიფიკაციის მექანიზმები,სადაც გათვალისწინებულია შესაბამისი რისკების არსებობის მონიტორინგი მოდულში „შეფასების ინსტრუმენტების“ ასევე, “სწავლის შედეგების“ და სწავლის სხვა პროცესების შეფასებისთვის. შეფასების მექანიზმების განხორციელებაზე პასუხისმგებელია ხარისხის მართვის მენეჯერი. შეფასების წესში გაწერილია მკაფიოდ განმეორებითი შეფასების განხორციელების პროცედურა, განსაზღვრულია ვადები, რომლის განმავლობაშიც პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს გავიდეს განმეორებით გამოცდაზე შედეგის დასადასტურებლად. დაწესებულება „ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების“ მიხედვით მუდმივად ახდენს შედეგების შეფასების მონიტორინგს და პროგრამის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

განვითარების მიზნით-ღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს. დაწესებულების ხარისხის მენეჯმენტის მყარი გარანტია ISO 9001-2015 სერტიფიკატის ფლობა.

დაწესებულებას გაწერილი აქვს პროფესიული სტუდენტის /მსმენელის გასაჩივრების წესი, სადაც გაწერილია სტუდენტის მიერ მიღებული შეფასების, კვალიფიკაციის არ მინიჭების შემთხვევაში გასაჩივრების პროცედურები. აღსანიშნავია, რომ კოლეჯისთვის ამ საკითხზე სტუდენტს არ მიუმართავს დღემდე.

2.4.2.3. **პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;**

დაწესებულების შიდა ნორმატიული აქტებით რეგულირდება სწავლების პროცესთან და შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის /მტკიცებულებების აღრიცხვა და არქივიზაცია. შეფასების მტკიცებულებების შენახვის ვადა წარმოადგენს 3 წელს შეფასების მომენტიდან,შეფასების უწყისები მატერიალური და ელექტრონული სახით ინახება უვადოდ მასზე პასუხისმგებელი პირების უშუალო ზედამხედველობით, დაწესებულების საქმის წარმოების ერთიანი წესის მე-17 მუხლის 17.1 პუნქტით გაწერილი უფლება-მოვალეობების მიხედვით.

2.4.2.4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

პროფესიული სტუდენტის განმავითარებელი შეფასებისას მიღებული შედეგების ანალიზზე პროფესიული მასწავლებლისთვის ნათელი ხდება სწავლების პროცესში პროფესიული სტუდენტის უნარების და შესაძლებლობების ლუსტრაცია,რის საფუძველზეც შესაბამისად გეგმავს სწავლების შემდგომ პროცესს სტუდენტის სუსტი მხარეების გაძლიერებისთვის,რათა სტუდენტმა შეძლოს განმსაზღვრელი შეფასების მიღება.

დასტურდება (მტკიცებულება/ინდიკატორები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

კომპონენტის/ინდიკატორის/მსმენელის მტკიცებულებები/ინდიკატორებიშესაბამისიდოკუმენტებისადაინტერვიუსშედეგებისჩათვლით

- სსიპ კოლეჯ „ფაზისის“ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- პროფესიული სტუდენტის/მსმენელის შეფასების წესი;
- პროფესიული სტუდენტების შეფასების მტკიცებულებები;
- პროფესიული სტუდენტის/მსმენელის მიერ სწავლის შედეგის გასაჩივრების წესი;
- სასწავლო გეგმები მოდულური და ინტეგრირებული სწავლებისთვის;
- დაწესებულების ვებგვერდი;ნორმატიული აქტები.
- ინტერვიურება პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიურება ხარისხის მართვის მენეჯერთან;
- დაარქივებული მტკიცებულებები და უწყისები.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐მეტწილად შეესაბამება

☐ნაწილობრივ შეესაბამება

☐არ შეესაბამება

ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ:

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒

ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

PDF Eraser Free

ინ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან,პროფესიული სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებითიმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

სსიპ კოლეჯ „ფაზისში“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „აგრომექანიზაცია“ დამატების მიზნით, ექსპერტების ჯგუფის მიერ (თავმჯდომარე - თამარ ნასყიდაშვილი, წევრი- ნიკოლოზ კიკნაველიძე) წინასწარ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის და დისტანციური ვიზიტის დროს ფაქტობრივი გარემოებების შესაბამისობის საფუძველზე დაყრდნობით, კოლეჯს გააჩნია პროფესიული სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის ფარგლებში, საგანმანათლებლო პროგრამის შეუფერხებლად განხორციელების შესაძლებლობა.

X. თანდართული დოკუმენტაცია:

- ფოტო მასალა
- საგანმანათლებლო (მატერიალური)რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია

თარიღი: 28.05.2021

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---